სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

10. 01. 2011 №1

თბილისი
წარმომადგენლობითი საბჭოს
წევრის არჩევნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, უნივერსიტეტის წესდებისა და „მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების საფუძველზე და სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის 2010 წლის 15 დეკემბრის №150 წერილის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოში წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდეს აკადემიური პერსონალიდან წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევი წევრის არჩევნები – 1 ვაკანსია;
2. კანდიდატთა რეგისტრაციის დაიწყოს მიმდინარე წლის 20 იანვარს გაგრძელდეს 29 იანვარის ჩათვლით. არჩევნები გაიმართოს კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს – 8 თებერვალს.
3. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი და ცნობა სტუ-ში დაკავებული თანამდებობის შესახებ.
4. არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიამ „მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების შესაბამისად;
5. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი